სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

24 **აპრილი, 2024 წ.**

ბრძანება № 01-10/42

„ბსუ-ს **საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურში სტაჟიორთა მისაღები კონკურსის გამოცხადების** შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის **2024 წლის 12 აპრილის N01-10/37 ბრძანებაში ცვლილების** შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე და 24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 29 მარტის N02 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ბსუ-ში სტაჟირების გავლის წესის“, „ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურში სტაჟიორთა მისაღები კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2024 წლის 12 აპრილის N01-10/37 ბრძანების, ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსის 2024 წლის 24 აპრილის MES 4 24 0000460733 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. „ბსუ-ს **საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურში სტაჟიორთა მისაღები კონკურსის** გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2024 წლის 12 აპრილის N01-10/37 **ბრძანებაში შევიდეს ცვლილება** საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადასთან მიმართებაში, კერძოდ, ბრძანების მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. კონკურსში მონაწილეობის მსურველმა პირმა 2024 წლის **13 აპრილიდან 30 აპრილის (17:00 საათი) ჩათვლით** ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურის (კანცელარია) ან ბსუ-ს ელექტრონული ფოსტის (chancellery@bsu.edu.ge) მეშვეობით უნდა წარმოადგინოს:
ა) წერილობითი განცხადება სტაჟირების გავლის შესახებ (შევსებული სტაჟირების გავლის წესის N1 დანართით გათვალისწინებული ფორმის შესაბამისად, მათ შორის, სამოტივაციო ნაწილიც);
ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
გ) CV;
დ) ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ (აქტიური სტუდენტის სტატუსის შემთხვევაში) და სასწავლო ბარათი, ხოლო კურსდამთავრებულმა - დიპლომისა და სტანდარტული დანართის ასლი;
ე) ერთი ფოტოსურათი (3X4);
ვ) ცნობა სოციალურად დაუცველობის შესახებ (არსებობის შემთხვევაში).“

2. განცხადება სტაჟიორთა მისაღებად გამოცხადებული კონკურსისა და მისი ვადების ცვლილების შესახებ გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე, წინამდებარე გრძანებასთან და ბსუ-ს სტაჟირების გავლის წესთან ერთად (ბსუ-ს სამართლებრივი აქტები, მათ შორის, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 29 მარტის N02 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ბსუ-ში სტაჟირების გავლის წესი" განთავსებულია ბსუ-ს ვებგვერდზე, ველის „სწავლა" ქვეველში **„სტუდენტთა გზამკვლევი" – N13 დანართი** https://bsu.edu.ge/upload/bsu_stajirebis_gavlis_wesi_2022.pdf).

3. გრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტსა და საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს.

4. გრძანება ამოქმედდეს ხელისმოწერისთანავე.

5. გრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქუჩა N30).

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **მერაბ დიასამიძე**